პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
პარასკევი
21 აგვისტო
№ 193 (18135)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

„ხალხთა ლენინური მეგობრობა"

ასე ჰქვია მოსკოვში პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ბროშურას, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თბილისში ჩამოსვლას ეძღვნება.

თავფურცელზე ვკითხულობთ სიტყვებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებიდან „იმაში, რომ საქართველო აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა, ღვაწლი მიუძღვით მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას — ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, რუსებს, ყველა ეროვნების მშრომელებს, რომლებიც ცხოვრობენ და შრომობენ რესპუბლიკაში. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმატებანი მკაფიოდ მოწმობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიად გარდამქმნელ ძალას, სოციალისტური წყობილების ცხოველმყოფლობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ერთგული პოლიტიკის გამარჯვებას".

ბროშურაში ქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელებისადმი რესპუბლიკის იუბილესთან დაკავშირებით, ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. ა. შევარდნაძის სიტყვები,

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოიცა და უხვად არის დასურათებული. (საქინფორმი).

ЛЕНИНСКАЯ ДРУЖБА НАРОДОВ

Пребывание товарища Л. И. БРЕЖНЕВА в городе Тбилиси на торжествах, посвященных 60-летию Грузинской ССР и Коммунистической партии Грузии

21—24 мая 1981 года

ПОЛИТИЗДАТ 1981

მეურნეობრიობის ქვაკუთხედი

უშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, წარმოების მართვის ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე შრომის დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენი მეურნეობრიობის ქვაკუთხედია.

სკკპ XXVI ყრილობისადმი მოხსენებაში ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა: „ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება, თუ ეს ფორმულა პრაქტიკულ საქმეთა ენაზე გადავთარგმნეთ, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ წარმოების შედეგები იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მისი დანახარჯები, რომ წარმოებაში შედარებით ნაკლები რესურსების ჩაბმის შედეგად შეგვეძლოს მეტის მიღწევა. ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს დაგეგმვა, მეცნიერულ-ტექნიკური და სტრუქტურული პოლიტიკა. ეფექტიანობას უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე მეურნეობრიობის მეთოდები, მართვის დარგის პოლიტიკა".

მუშაობაში მწყობრი რიტმისა და შეთანხმებულობის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებს რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანების „საქნავთობის" (გენერალური დირექტორი — სოციალისტური შრომის გმირი რ. ნ. თევზაძე) კოლექტივი. აქ დანერგილი შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სისტემა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაძლებლობანი, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის საკითხები წყდება კომპლექსურად, შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმები კოორდინირებულია მისი ანაზღაურების პროგრესულ სისტემასთან, კადრების პროფესიული სწავლებისა და დაწინაურების ღონისძიებებთან. მაჩვენებლის სისტემა თითოეულ მენავთობეს უღვიძებს სურვილს გამოიჩინოს ინიციატივა. სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარეობს უხმაუროდ, რადგან საქმის წარმატებას წყვეტს მთელი კოლექტივი, რომელიც მაღალ საბოლოო შედეგებს აღწევს. რიტმულად, ყოველდღიურად სრულდება სახელმწიფო დავალება. სწორედ წესრიგმა და ორგანიზებულობამ განაპირობა ის, რომ მიმდინარე წლის განვლილ შვიდ თვეში გაერთიანების მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა (რომლის რიგებში არც ერთი ჩამორჩენილი უბანი და ბრიგადა არ არის) სახალხო მეურნეობას მიაწოდა ათასობით ტონა ზეგეგმითი ნავთობი და მილიონობით კუბური მეტრი ნავთობის მომყოლი გაზი.

ამავე დროს ჯერ კიდევ ბევრი საწარმოა, სადაც დაბალი ორგანიზებულობის, სუსტი შრომითი და საგეგმო დისციპლინის გამო კოლექტივები ვერ მუშაობენ რიტმულად, წარმოების ძირითად წილს უშვებენ ბოლო დეკადაში, ვერ ასრულებენ ბევრ შეკვეთას, და თუ აგრეთ წოდებული იერიშის შედეგად მაინც როგორმე მიაღწიეს დაგეგმილ მიჯნას, სამაგიეროდ აუარესებენ ნაწარმის ხარისხს.

ივლისში, მაგალითად, არარატმული მუშაობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, სამრეწველო გაერთიანების „საქქვანახშირის", თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის", ხაშურ მასალათა მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. თუ ივლისის პირველ დეკადაში საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირმა" (გენერალური დირექტორი ბ. სანიკიძე). მთლიანად ქვანახშირის მოპოვების დავალება 85,7 და საკოქსე ქვანახშირისა — 86,9 პროცენტით შეასრულა, მომდევნო დეკადებში შესაბამისად ეს მაჩვენებლები 2-2,5 პუნქტით ძლივს გაუმჯობესა. გამონაკლისია მეოთხე დეკადაში ქვანახშირის მთლიანი მოპოვების მაჩვენებელი, თუმცა გეგმის შესრულებას აქაც 1,6 პროცენტი დაკლეს.

სავალალოა ამ მხრივ თბილისელ ჩარხმშენებელთა მუშაობა. (გენერალური დირექტორი ვ. ჯიქიძე). მათ ოთხივე დეკადაში ლითონსაბურელი ჩარხების გამოშვების დავალების ეკონომიკური მაჩვენებელი 22,2-დან მხოლოდ 51 პროცენტამდე შეძლეს აეყვანათ, რაც შეეხება სპეციალური ჩარხების გამოშვების გრაფას — უცვლელად უწერიათ: „ნული".

ინდუსტრიის მთელ რიგ დარგებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფას, ფორმალურად უდგებიან შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვეგანყოფილების მუშაობას. ამ რგოლში უმთავრესად დასაქმებულია არასპეციალისტი, თანაც უინტერესო და უინიციატივო მუშაკები.

შრომის რიტმი პირდაპირ არის დამოკიდებული დაგეგმვის ხარისხზე. რა რიტმულობაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ წლეულს, მაგალითად, პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო ძირითადი ფონდების წლიური დავალების ხმლოდ 7-8 პროცენტის ამოქმედება, ხოლო საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი წილი მეოთხე კვარტალზე მოდიოდა. დავალებათა უთანაბრო განაწილებას არეულობა შეაქვს მშენებელთა მუშაობაში, გულს უცრუებს კოლექტივებს, რომლებიც მოწყობილობას აწყდიან.

რესპუბლიკის სამინისტროებს, საწარმოო გაერთიანებებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელობამ, ძირეულმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია სამუშაო დროის ცვლისშიდა მოცდენები.

წლის პირველ ნახევარში მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით გაცდენილია 212465 კაცსაათი. აქედან საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" ხაზით — 24202, მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი (სამდიციანი ტექნიკის მრეწველობის ჩათვლით) მრეწველობის საწარმოებში — 22139, მსუბუქ მრეწველობაში — 68574, კვების მრეწველობის საწარმოებში — 18045 კაცსაათი. სერიოზული ზიანი მოაქვს ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოს დროს, ეგრეთ წოდებულ, შვებულებებს. ეს, ჯერ ერთი, იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობას პროფკავშირის ადგილკომებთან ერთად მკაცრი წესრიგი არ აქვს დამყარებული შვებულებაში თანამშრომელთა გაშვების საქმეში. მეორე, მომსახურების სფეროს საქალაქო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას გრაფიკები არ თვალისწინებს სამრეწველო საწარმოების შრომითი დღის რეჟიმს.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, დარგობრივმა პროფკავშირებმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან ერთად უნდა გააძლიერონ კონტროლი შრომითი რესურსების სწორი, ეფექტიანი გამოყენებისადმი. უნდა მივაღწიოთ, რომ განუხრელად სრულდებოდეს ასეთი ზედამხედველობის შესახებ არსებული დებულების მოთხოვნები, ვასწავლოთ თითოეულს და მკაცრად მოვთხოვოთ გაუფრთხილდეს სამუშაო დროს.

როგორც ნათქვამია „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შესრულების კონტროლისა და შემოწმების შემდგომი სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან მიღებულ დადგენილებაში, „მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენა, საგეგმო დავალებათა ჩაშლის, უყაირათობის, წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტები მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული კონტროლი, დაბალია კადრების საშემსრულებლო დისციპლინა და პასუხისმგებლობა".

ამიტომ თითოეული მშრომელის ვალია თავის სამუშაო ადგილზე შექმნას მაღალი მომხმოვნელობისა და საქმიანი მიდგომის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის ვითარება, რითაც წარმატებით განვახორციელებთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

რესპუბლიკის ინდუსტრიამ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მეორე ნახევარი დაიწყო პირობებში, როცა მთელი რიგი დარგები და საწარმოები დასახულ ტემპს ჩამორჩებიან. თითოეული პარტიული კომიტეტი, ყველა კომუნისტი მოწოდებულია ყურადღებით, თვითკრიტიკულად ანალიზებდეს გეგმების შესრულების მიმდინარეობას, გამოჰქონდეს საჭირო დასკვნები შეცდომებიდან.

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული გზით წინსვლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი ორგანიზებულობა და წესრიგი ყოველ შრომითს კოლექტივში.

ახლა წყდება ჭირნახულის დაბინავებისა და მომავალი წლის მოსავლის ბედი

მთის სათიბებში

ბორჯომი. (საკ. კორ.). რაიონის საკვებმომპოვებლებს ახლა დიდი „ალოობა" აქვთ — მთის სათიბებში ისინი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვებ ბაზას ქმნიან, მზადდება თივა.

ამ დღეებში დვიერე და ქვაბისხეველ საკვებმომპოვებლებს აქაური სასოფლო კლუბების აგიტმხატვრული ბრიგადები ესტუმრნენ. გაიმართა აგიტსაუბრები, სოფლის მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა კი საკვებმომპოვებლებს საკონცერტო პროგრამა უჩვენეს.

საკვებს მივხედოთ, ლაგოდეხელებო!

 მეცხოველეობის საფუძველთა საფუძვლის — მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ლაგოდეხის რაიონში ადრე გაზაფხულიდანვე გაიშალა მუშაობა. ბევრმა მეურნეობამ, ფერმამ, ბრიგადამ უკვე იმდენი თივა და სენაჟი მოიმარაგა, რომ წლეულსაც ეყოფა და გაისადაც გადაჰყვება. ასეა სოფლების — ნინიგორის, დრუჟბის, ცოდნისკარის, ძერჟინსკის, ულიანოვკის, ლელიანის კოლმეურნეობები. მარტო ნინიგორში 3 ათას ტონამდე სენაჟი დაამზადეს და გეგმა 200 პროცენტით შეასრულეს, ასევეა ცოდნისკარში.

საკითხავია, რატომ არ არის ასე სხვაგან, სადაც ასეთივე ამინდი და უხვი ბალახი იყო? განჯალა-უზუნთაღის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში საგეგმო 700 ტონის ნაცვლად 400, არეშფერანის კოლმეურნეობაში 800 ტონის ნაცვლად 550 ტონა სენაჟი აქვთ ჩადებული. მათ ასევე სამარცხვინოდ ჩაშალეს თივის დამზადების გეგმებიც. პირველს 50 ტონიდან არც ერთი კილოგრამი არ დაუმზადებია, ხოლო მეორეს გეგმა მხოლოდ 30 პროცენტით აქვს შესრულებული. ეს იმ დროს, როცა რაიონის ზოგიერთმა მეურნეობამ და ორგანიზაციამ, რომლებსაც არ ჰქონდათ დავალება, ასობით ტონა სენაჟი, თივა და ნამჯა დაამზადეს. რაიონში რომ 15 ათასი ტონის ნაცვლად 18 ათასი ტონა სენაჟი ჩაიდო, ამაში სწორედ თამბაქოს საცდელი სადგურის, ანერგეთ მეურნეობის, ეთერზეთების ქარხნის კოლექტივების წვლილიც არის.

ერთ-ერთი საიმედო და ყუათიანი საკვები, განსაკუთრებით მენველი პირუტყვისათვის, სილოსია. მისი დამზადების გადამწყვეტი პერიოდიც სწორედ ახლაა. იმ დროს, როცა ნინიგორის კოლმეურნეობაში 2 ათასი ტონა სილოსი უკვე ჩადეს და გეგმა შეასრულეს, ულიანოვკაში უკვე სანახევროდ აქვთ დავალება შესრულებული, მთელ რიგ მეურნეობებში ამ მხრივ, რომ იტყვიან, თითიც არ გაუნძრევიათ.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსთან ა. ცინცაძესთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ 500 ჰექტარზე ხორბლის მოსავალი ჯერ კიდევ ასაღებია. მოსავალს ვამბობთ, თორემ რა მოსავალია, რაც დათესეს, იმასაც ვერ ინაზღაურებენ! ეს კი პირდაპირ საგანგაშოა.

ვლ. მჯედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საშემოდგომო ხვნა გვიანდება

ნათქვამია: მკაში პირობას ხვნაში პირობა სჯობიაო.

როგორ ასრულებენ ამ პირობას სიღნაღის რაიონის მხვნელ-მთესველები? ზორბალი და ქერი მომკეს, მარცვალი დაბინავეს, 15.000 ჰექტარიდან ნამჯაც გამოზიდეს, მაგრამ საშემოდგომოდ მოხნულ ნაკვეთებს იშვიათად თუ შეხვდებით. დაგეგმილი 22.300 ჰექტარიდან მოხნულია მხოლოდ 2.960 ჰექტარი. ცხადია, ნაწილი ფართობი ჯერ სამინდის და მზესუმზირის ნათესებს უკავია, რომელთა მოსავალს ესეს არის იღებენ, მაგრამ ეს ციფრი მაინც ძალზე სამარცხვინოა. ამაში რომ უფრო დავრწმუნდეთ, დაკვირდეთ წლის მაჩვენებელს მოვიშველიებთ. შარშან ამ დროს 8.200 ჰექტარი — თითქმის სამჯერ მეტი ფართობი იყო მოხნული. ხვნაში მეტისმეტად ჩამორჩენიან ბოდბის, ორჯონიკიძის სახელობის, მაღაროს, ახაგოსა და ნუკრიანის კოლმეურნეობები.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს სამმართველომ, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ბრიგადირებმა, ტრაქტორისტებმა, ვეტერინარებმა, ინჟინრებმა, ინსტრუქტორ

80-იან წლებში საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ გვესაუბრება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

დ. ჯართველიშვილი.

ინტენსიურად, სტაბილურად, განუხრელად

— სამოცდაათიანი წლები და განსაკუთრებით მეათე ხუთწლედი საქართველოს ისტორიაში — ეს არის რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდის, მისი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერების, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესების წლები. ყოველივე ეს უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, როცა საბჭოთა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების 80-იანი წლების პერსპექტივებს ვიფასებთ. რესპუბლიკამ ეს წლები იმით დაიწყო, რომ გაზარდა თავისი წვლილი საერთო-სახელმწიფო დოვლათში და არსებობად შეამცირა საშუალო საკავშირო დონისაგან ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით.

მაგრამ რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის უკანასკნელ გაანგარიშებათა მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მეტი წილი განმაზოგადებელი მაჩვენებლებით ჯერ კიდევ მერყეობს საშუალო საკავშირო დონის 80-85 პროცენტის ფარგლებში. არსებული განსხვავების მაქსიმალური შემცირება, ხოლო ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონის გადამეტება — ხის საკვანძო ამოცანა, რომელიც რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების წინაშე დგება მეთერთმეტე ხუთწლედისა და მთლიანად ოთხმოციანი წლებისათვის.

კითხვა: რა ფაქტორების მეშვეობით უნდა მივაღწიოთ ამ სტატეგიულ მიზანს?

პასუხი: საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების გეგმაში, რომელიც შეუშვებულია სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებისა და რჩევა-დარიგებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილებისა და იმ ახალი დადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობასა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას ეხება, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაიზარდოს რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერება. ეს მუშაობის გენერალური მიმართულებაა.

როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალსაც უზინარეს ყოველისა მისი ინდუსტრიალიზაციის ფონე განსაზღვრავს. სწორედ ინდუსტრიული განვითარების არასაკმარისი დონე იყო და არის დღესდღეობით იმის ძირითადი მიზეზი, რომ საქართველო რამდენადმე ჩამორჩება საერთო-ეკონომიკური განვითარების საშუალო საკავშირო დონეს. მაშასადამე, **მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა უფრო სრულად დაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება მრეწველობის პროდუქციით წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესების გაღრმავების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა მიზანმიმართული გამოყენების საფუძველზე.**

ამ ამოცანის გადასაწყვეტად რესპუბლიკას აქვს საჭირო რესურსებიც და შესაძლებლობებიც. და სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდება, დაგეგმილია მეთერთმეტე ხუთწლედში მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის მოცულობის ზრდა 30-33 პროცენტი, რაც 4-5 პუნქტით აღემატება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. დასახულია ყველაზე სწრაფი ტემპით განვითარდეს ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. დაგეგმილია აგრეთვე მნიშვნელოვნად გაძლაკიცდეს ეკონომიკური ენერგეტიკული ბაზა. დაჩქარებით განვითარდეს მძიმე ინდუსტრიის ისეთი სანდღეიული დარგები, როგორიც შავი და ფერადი მეტალურგიაა.

რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალის გასაღიდებლად გათვალისწინებულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 80-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო, სადაც 27 ათასზე მეტი ადგილი იქნება დასაქმებული. მნიშვნელოვნად გაიზრდება რეკონსტრუქციის შემდეგ საქართველოს დიდი ფაბრიკა-ქარხნების სიმძლავრენი.

კითხვა: ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე წარმოების ინტენსიფიკაციასა და მის დიდ მნიშვნელობაზე ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ხომ ვერ შეახსენებდით ჩვენს მკითხველს, რას ნიშნავს ეს ცნება ეკონომიკის მასშტაბით, რა როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორები და რაგორ აისახება ისინი პერსპექტიულ სახალხო-სამეურნეო გეგმებში?

პასუხი: ინტენსიფიკაცია გაგლავთ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პროცესი, რომელიც ემყარება ტექნიკური, მატერიალური და შრომითი რესურსების სულ უფრო სრულსა და რაციონალურ გამოყენებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. ინტენსიური განვითარება სწორედ იმით განსხვავდება ექსტენსიურისაგან რომ არ მოითხოვს მატერიალურ რესურსებისა და მუშათა რაცხვის გადიდებას.

წარმოების ინტენსიფიკაცია იმითაც არის დიდმნიშვნელოვანი რომ იგი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივ ზრდას მშრომელთა კეთილდღეობისა და ცხოვრების ამაღლების, ეკონომიკურ-სოციალური ამოცანების ერთდროული ამოხსნის პირობებში, მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციას.

ოთხმოციანი წლები, მათ შორის მეთერთმეტე ხუთწლედიც, დამამთავრებელი ეტაპი გახდება პარტიის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევაში — საბჭოთა ეკონომიკის გადაყვანაში განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე. სსრ კავშირის ეკონომიკამ ისეთ დონეს მიაღწია, როცა შეესაძლებელია და ობიექტურად საჭიროც არის უზარმაზარ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების გაძლიერება, წარმოების ელემენტების: შრომისა რესურსების, შრომის საგნებისა და საშუალებების მთელი ერთობლიობის ეფექტიანი გამოყენება. „ამ ამოცანის გადაწყვეტას, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე,—უნდა დაექვემდებაროს დაგეგმვა, მეცნიერულ-ტექნიკური და სტრუქტურული პოლიტიკა. ეფექტიანობას უნდა უწყობდეს ხელს მეურნეობრიობის მეთოდებიც. მართვის დარგის პოლიტიკაც“.

განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე გადასვლის ორიენტაცია სრულად ახასიათებს არა მარტო მთლიანად ქვეყანას, არამედ აგრეთვე მის ცალკეულ რეგიონებსაც. მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკას. მეთერთმეტე ხუთწლედში დასახულია გაიზარდოს საზოგადოებრივი შრომის — საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამ უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმის ნაყოფიერება 30,4 პროცენტით. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდდება 30,2 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 39,5 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მივიღებთ ეროვნული შემოსავლის მატების 85 პროცენტზე მეტს, მრეწველობის წმინდა პროდუქციის მატების ოთხ მეხუთედს და სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქციის მთელ მატებას. მატერიალური წარმოების სფეროდან პირობითად განთავისუფლებულ მუშაკთა რიცხვი ხუთწლეულში გაუმჯობესდეს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება მთელ სახალხო მეურნეობასა და მის დარგებში.

წარმოების ინტენსიფიკაციისა და შისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მთავარ ბეჭედად გვევლინება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში გათვალისწინებულია განხორციელდეს პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა,ავტომატიზაციის დანერგვის 230-ზე მეტი ღონისძიება. მნიშვნელოვნად ამაღლება ნაწარმის გამოშვების ტექნიკური დონეც. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 1980 წლის 11 პროცენტიდან 1985 წელს 16,3 პროცენტამდე გაიზრდება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვაში ფართოდ გამოვიყენებთ პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდს. ხუთწლეულით გათვალისწინებული და 1981-1985 წლებში შესაბამშავებელ-განსაორციელებელი რვა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური, სოციალური, ტერიტორიული და მეცნიერულ-ტექნიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამისაგან ოთხი მიზნად ისახავს ყველაზე აქტუალური ტექნიკური პრობლემების გადაჭრას.

საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების კურსის განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკისრება მიზანშეწონილი სტრუქტურული პოლიტიკის გატარებას. განვითარების უპირატესი ტემპის შედეგად ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში მრეწველობისა და მშენებლობის ხვედრითი წონა შესაბამისად 1 და 2,7 პუნქტით გაიზრდება.

დადებითი ძვრები მოხდება სამრეწველო წარმოების სტრუქტურაშიც. ჯერ ერთი, გაიზრდება „ბ“ ჯგუფის ხვედრითი წილი მის საერთო მოცულობაში, მეორე, მრეწველობის სტრუქტურაში არსებითად მოიმატებს მანქანათმშენებლობის წილი იმის შედეგად, რომ უპირატესად განვითარდება არალითონტევადი ქვედარგები — ელექტროტექნიკა, ელექტრონული, რადიოტექნიკური მრეწველობა, ხელსაწყოთმშენებლობა, რომლებიც მაღალკვალიფიციურ შრომას მოითხოვს.

კითხვა: რა წვლილს შეიტანს რესპუბლიკა საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში?

პასუხი: სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია ამოცანა გადიდდეს საქართველოს წვლილი საერთო-საკავშირო სასურსათო ფონდის ფორმირებაში. ამ მიზნით მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახულია სასურსათო კომპლექსის ყველა რგოლის შემდგომი განვითარება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა გადიდდება 22-24 პროცენტით. გაორმაგდება აგრარული სექტორის სპეციალიზაცია მევენახეობაში, მეჩაიეობასა და სუბტროპიკულ მეხილეობაში. ბევრი რამ გაკეთდება მეცხოველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასაყვანად.

მთელი. რიგი პრობლემები გადაიჭრება აგრეთვე სასურსათო კომპლექსის მეორე დიდმნიშვნელოვანი რგოლის — ქვების მრეწველობის განსავითარებლად, რომლის პროდუქცია 1,3-ჯერ გაიზრდება. უპირატესი ტემპით წარმოებთება საკონსერვო და ღვინის მრეწველობის ზედა—შესაბამისად 1,7 და 1,4-ჯერ. დაწესდება ოპტიმალური თანაფარდობა გადასამუშავებად შემოსული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მოცულობასა და საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსს. შორის იმ გზით, რომ აღიკვეთება მათი დეფიციტი ღვინის, ჩაის და კონსერვების მრეწველობაში ახალი ფაბრიკა-ქარხნების შექმნისა და არსებული საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ბაზაზე.

ამოცანები, რომლებიც მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა გადაეწყვეტოთ, მართლაცდა, გრანდიოზულია, მათი რეალიზაციის შედეგად საქართველო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უფრო მაღალ საფეხურს მიაღწევს. (საქინფორმი)

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სიახლე დავნერგოთ

დანახარჯები შემცირდება, ეფექტიანობა გაიზრდება

მეთერთმეტე ხუთწლედის საბჭოთა სახელმწიფო დავალება რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას ითვალისწინებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებას, რადგან მეცხოველეობას ჯერ კიდევ საგრძნობ ზიანს აყენებს ინფექციური და ინვაზიური დაავადებები.

ზოგი ინვაზიური დაავადება თავისი ეკონომიკური დანაკარგებით არა მარტო უტოლდება მძიმე ინფექციური დაავადებებით გამოწვეულ ზარალს, არამედ ზოგჯერ კიდევაც ჭარბობს მას. ასეთ დაავადებას მიეკუთვნება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჰიპოდერმატოზი ანუ კანქვეშა ბორა. ამ დაავადებით გამოწვეული ზარალი — ტყავის, ხორცისა და რძის დანაკარგები — კავშირის მასშტაბით ყოველწლიურად 500 მილიონ მანეთს აღწევს. გარდა დიდი ეკონომიკური ზარალისა, აღნიშნული ინვაზია საგრძნობლად ასუსტებს ცხოველის ორგანიზმს და შემდგომში ის ადვილად ითვისებს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს.

ინვაზიის წინააღმდეგ საჭიროა განხორციელდეს კომპლექსური ღონისძიება. ეს კი გულისხმობს ვებრძოლოთ ინვაზიის აღმძვრელს მისი განვითარების ყველა სტადიაში. არსებობს ინსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს მთელი კავშირისათვის. ჩვენი რესპუბლიკის პირობების გამო ამ ინსტრუქციის პირდაპირ გადმოტანა და გამოყენება არ შეიძლება. რესპუბლიკას განსხვავებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობები აქვს და ამის შესაბამისად კანქვეშა ბორას ბიოლოგიაც განსხვავებულია. ამიტომ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებისას სპეციალისტებმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინონ ინვაზიის აღმძვრელის ბიოლოგიური თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ზონისათვის.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროტოზოოლოგიისა და არაქნოენტომოლოგიის განყოფილებამ კანქვეშა ბორას წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნა ახალი მაღალეფექტიანი პრეპარატი, — ჰიპოდერმაციდი, რომელიც მიკრომასხურების მეთოდით გამოიყენება ადრეული ქიმიო-თერაპიის მიზნით. ამ პრეპარატის ავტორები არიან ო. ნადირაძე და ვ. პოტიომკინი.

ახალი მაღალეფექტიანი პრეპარატის გამოყენება შრომატევადი არ არის, მასში შემავალი კომპონენტები ნაკლებ დეფიციტურია. პრეპარატის ფიზიკური და ქიმიური თვისებები ხანგრძლივი შენახვისას და უარყოფითი ტემპერატურის ცვალებადობის დროსაც კი იგივე რჩება. შედარებით მცირე ტოქსიკურობის გამო ფურების დამუშავება შეიძლება მაკეობის უკანასკნელ თვემდე. ამავე დროს არც არის საჭირო დიეტის დაცვა (როგორც ეს ხდება ხოლმე ქლოროფოსის 8-პროცენტიანი წყალხსნარის გამოყენებისას).

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საველტერინარო სამმართველოსთან არსებულმა ფარმაკოლოგიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ო. ნადირაძისა და ვ. პოტიომკინის მიერ შემუშავებული პრეპარატი გამოიყენონ ფართო საწარმოო ცდისათვის. დამტკიცდა მისი გამოყენების წესები. ეს მაღალეფექტიანი პრეპარატი სრულყოფილად რომ გამოიყენონ, სპეციალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამა თუ იმ ზონისათვის

ვ. ბეგიაშვილი,
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი.

თ. ყენია,
ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი.

რეპორტაჟი დაიწყო

მარნეულის რაიონის ალგეთის მევენახეობის ხაბჭოთა მეურნეობაში დაიწყო რთველი. მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლეულს ხახელმწიფოს 2200 ტონა მაღალხარისხოვანი უნაძენი მიჰყიდონ.

სურათზე: მეურნეობის მთავარი აგრონომი გ. ხეცურიანი და მუშა ლ. ციოფა ყურძნის ხარისხს ამოწმებენ.

ნ. ნათელაშვილის ფოტო.

პარტიულ ორგანიზაციებში

ოსტატი ოსტატდება

ოსტატსაც სჭირდება დაოსტატება. ასეთ დასკვნამდე მივიდა თბილისის მაფინ-კამეოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ პარტკომი. კომუნისტებმა განიხილეს კოლექტივში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების პრობლემები და შეიმუშავეს საშუალო რგოლის მეთაურების აღზრდის კომპლექსური პროგრამა, რომლის მიზანია კოლექტივში ოსტატის როლის, მისი ტექნიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლება.

კომბინატში გახსნილია ახალგაზრდა ოსტატის სკოლა, სადაც საწარმოს მთავარ სპეციალისტებთან ერთად მეცადინეობას ატარებენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერები.

ახალგაზრდები სოფლად რჩებიან

გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდა სპეციალისტთა ხელშემწყობი საბჭო. საზოგადოებრივ მუშაკთა ძირითადი საზრუნავია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტირება, კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად გაგზავნა, სოფლად სპეციალისტების დამკვიდრება.

საბჭოს შემადგენლობაში არიან შრომის ვეტერანები, სოფლის სკოლის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეურნეობის მუშაკები.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

რასა იქმ, ნაჯაფარო ცბათანა?

ᲩᲕᲔᲜ საუბრის თემა სოფელი ტბათანაა. იგი მდებარეობს პანკისის ხეობის სათავეში, ალპურ ზონაში (დაახლოებით 2000 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან). ტბათანის ეტიმოლოგია არ მოითხოვს რთულ ლინგვისტურ ანალიზს. აღნიშნული ტოპონიმის ამოსავალია სიტყვა ტბა. ტბა კი მართლაც არის სოფლის პირას. ამგვარად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები საქართველოში სხვაგანაც გვხვდება.

ტბათანაში საზაფხულოდ ადიან თუშები ზემო ალვანიდან. ამჟამად იქ სამასამდე საზაფხულო ხის სახლია. როგორც ყოველ დასახლებულ პუნქტს, ტბათანასაც აქვს თავისი ისტორია (თანაც საკმაოდ საინტერესო), რომელიც შეისწავლა დოცენტმა ვ. ლაგაზიძემ თავის საკანდიდატო დისერტაციაში „თუშეთის ისტორიიდან“ (1965 წ.).

ირკვევა, რომ 1798 წელს გიორგი XII საგანგებო სგელითი უბოძებია თუშებისათვის მთები: ტბათანა, მიწისხიდი, ჭოჩადალა და მასარა. თუშებს ეს მთები მთიდან ბარში ცხვრის გამოსარეკ ტრასად სჭირდებოდათ.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ აღნიშნული მთების ირგვლივ ფშავლებსა და თუშებს შორის დავა ამტყდარა, რომელიც წლობით გაგრძელებულა; საქმეში ჩარეულან მაშინდელი კავკასიის მაღალი თანამდებობის პირები. 1813 წელს გენერალ სიმონოვიჩს კვლავ თუშებისათვის დაუმტკიცებია სადავო ტერიტორია.

ამის შემდეგაც არ შენელებულა ტერიტორიული პრეტენზიები. ამიტომ მაშინდელი კავკასიის მთავარმართებლობა იძულებული გამხდარა შეექმნა სპეციალური კომისია საკითხის შესასწავლად. კომისია შედგა 1818 წელს. თუშების მხრივ კომისიაში შედიოდნენ მამუკა ბაძოშვილი და დავით ლაგაზაშვილი.

კომისიის მუშაობის პერიოდში მოხდა სტიქიური უბედურება — წყვათის სოფელი საგრძნობ ზვავებსა და ნიაღვარს მთლად დაუნგრევია. აქაურ მცხოვრებლებს მოუმართავთ მართებლობისათვის განცხადებით, რათა საზაფხულო სადგომად მიეცათ მათთვის ტბათანა (ზამთარს კი გაატარებდნენ აწინდელი ალვანის ტერიტორიაზე, სადაც იზამთრებდნენ მათი მწყემსები). ალბათ, ამ ფაქტებმაც შეასრულა ერთგვარი როლი და სადავო მთების, მათ შორის ტბათანის ბედიც თუშების სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

ამრიგად, ჩანს, ტბათანის დასახლება იწყება გასული საუკუნის ოციანი წლებიდან.

1860-იან წლებში ფშავ-ხევსურეთში იმოგზაურა გერმანელმა მეცნიერმა რადემ, რომელმაც შემდგომ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ნაშრომი „ხევსურეთი“.

ხევსურეთიდან რადე თუშეთშიც გადასულა, ტბათანაში დაუყვია რამდენიმე დღე. თავის წიგნში იგი აგვიწერს თუშების ცხოვრებას, ლაპარაკობს ტბათანაზე, იხსენებს შეხვედრებს ახალგაზრდა თუშ გიმნაზიელებთან, რომლებსაც თურმე განსაკუთრებით აინტერესებდათ გერმანელი მეცნიერის მუშაობა. როგორც ნაშრომიდან ჩანს, უცხოელი მეცნიერი აღტაცებულია ტბათანის შემოგარენით, მისი განუმეორებელი ხედებით.

ჩვენი ამ პატარა წერილის მიზანი მარტოოდენ ტბათანის დასახლების ისტორიის გაშუქება როდი გახლავთ. ამ მონათხრობით უფრო ის გვინდოდა შეგვეხსენებინა მკითხველისათვის, რომ აქ ეს სოფელი, სადაც ტრადიციით ზაფხულობით კვლავ ამოდიან ზემო ალვანის მიჯნარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყესთა ოჯახები თავიანთი პირადი პირუტყვით, შემთხვევითი როდია. ტბათანას დღევანდელ ყოფაზე სიტყვის ჩამოგდება ღირს განსაკუთრებით ახლა, როცა პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მთიანი მხარეების დასახლებას, მის ეკონომიკურ აღორძინებას. სულ ახლახან თუშეთის მიჯნაველეობის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბება დიდ ქარხანაში 173 ტონა პრეპარატის დამზადებით 121.100 მანეთი მოგებულა მიღებული.

პრეპარატის ეფექტიანობის გათვალისწინებით ჰიპოდერმაციდი ერთ წელიწადში ჰიპოდერმინ-ქლოროფოსთან შედარებით 600 ათასამდე მანეთ მოგებას იძლევა. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ეს სიახლე ყოველწლიურად მეცხოველეობას თავიდან აცილებს 5 მილიონ მანეთ მოსალოდნელ ზარალს, ვინაიდან ჰიპოდერმაციდით რესპუბლიკაში ყოველწლიურად ინკურნება კანქვეშა ბორათი დაავადებული 16000 სული მეწველი პირუტყვი და 104000 მოზაზეული. ეს კი დამატებით 1120 ტონა რძეს და 1664 ტონა ხორცს გვაძლევს.

სიახლის დანერგვის საქმეში აქტიურობენ ქობულეთის, ახაშენის, ცხაკაიას, მახარაძის, ხობის, თერძი წყაროს და სხვა რაიონების ვეტსპეციალისტები. ზოგ რაიონში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში ჰიპოდერმატოზის საწინააღმდეგო ღონისძიებას სრულყოფილად არ ახორციელებენ. ნაკლები ყურადღება ექცევა კერძო საკუთრებაში მყოფი პირუტყვის მკურნალობას, რის გამოც ძნელდება ინვაზიის გავრცელების კერის აღმოფხვრა. ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა ჰიპოდერმაციდის რაციონალური გამოყენებით უახლოეს წლებში მთლიანად აღმოიფხვრას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კანქვეშა ბორას ინვაზია.

კ. კაპანაძე,
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

უშედეგო მიმოწერა

თბილისის ლენინის რაიონში მცხოვრებ სამამულო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს ემსახურება სახურსათო მაღაზია, რომელიც მდებარეობს ოქტომბრის ქუჩაზე № 142-ში. მაღაზია თითქმის ყოველგვარი ხურსათით მარაგდება და აქ ყოველთვის იდეალური წესრიგია. ომის ვეტერანებს მადლობა მეტი არაფერი გვეთქმის. ერთი კი ყველას აწუხებს, რის გამოც ომის ინვალიდები და მონაწილეები ძალზე შეწუხებული და განაწყენებული არიან.

მარშან 20 ოქტომბერს ომის ინვალიდთა და მონაწილეთა დავალებით წერილით მივმართეთ პარტიის თბილისის ლენინის რაიკომს. ვთხოვეთ დახმარება: მაღაზიის ხავეჭრო დარბაზი ძალზე პატარაა, არა აქვს ხათავსები და მომხმარებელს ღია ცის ქვეშ, წვიმაში, თოვლში, ქარში და ხიცხეში უხდება რიგში დგომა (უფრო მეტი უბედურება გადაგვიტანია, ამასაც ავიტანთ, მაგრამ რა გვიჭირს ხაამოსოდ), მოვითხოვეთ, იქვე ახლოს დეპოს ქუჩაზე № 23-ში მდებარე ცარიელ შენობაში გახსნილიყო მაღაზია, რომელსაც აქვს დიდი ფართობი, თავისუფალი საკუთარი ეზო, დიდი დარბაზები და დამხმარე ხათავსები. ამ შენობაში წინათ ვეტერინარული ხამკურნალო იყო, რომელსაც ამჟამად დაკავებული აქვს ორორდე ოთახი. მოვითხოვეთ აგრეთვე ახალ შენობაში გადაყვანათ მაღაზიის გამგე გ. თეთრუაშვილი და მომსახურე პერსონალი დაეკომპლექტებინათ კომკავშირელი ახალგაზრდა ქალაშვილებისაგან, რომლებსაც იგი შეახწავლიდა სპეციალობას და შეაყვარებდა ამ მეტად საპატიო საქმეს.

ჩვენი წერილი რაიკომმა რაიონის ხამხედრო კომისარს გადასცა, რომელმაც თავის მხრივ ხთხოვა პარტიის თბილისის ლენინის რაიკომს დახმარება აღმოეჩინა ომის ვეტერანებისათვის. რაიკომმა ჩვენი წერილი ახლა ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს გადასცა. აღმასკომში საკითხის გადაწყვეტა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ...

ძვირფასო რედაქციავ, თბილისის ლენინის რაიონის Გ. 828 ომის ვეტერანი (მათი დავალებით ᲬᲔᲠ), გთხოვთ წერილში აღნიშნული საკითხი მსჯელობის საგანი გახადოთ.

ს. უჩანეიშვილი.

ერთიანებული ერების ორგანიზაციაში

აქტუალური ინიციატივა

ჯ.-იორკი. საბჭოთა კავშირის ...ადება დაიდოს ხელშეკრუ... კოსმოსური სივრცეში ყო... ...ური იარაღის განლაგების ...ლვის შესახებ დიდ ინტე... ...ს აწევებს ერთა საერთაშორი... ...ერთიანების წრეებში. ამ ...ადებას შეიცავს სსრ კავში... ...საგარეო საქმეთა მინისტრის ...რომიკოს წერილი, რომე... ...ერთიანებული ერების ორ... ...აციის გენერალურ მდივანს ...ავენა.

...ჭოთა კავშირის ინიციატივას ...ეად აქტუალური უწოდა ...ალების საკითხს არასამ... ...ობო ორგანიზაციების სპეცი...

დიდი ინტერესი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებისადმი

...ალური კომიტეტის თავმჯდომარემ გომერ ჯეკმა. თუ კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის საფრთხე ახლა არ აღმოიფხვრება, შემდეგ ეს კიდევ უფრო გაჭირდება. მივესალმებით ყოველ ნაბიჯს, რომელიც კი ხელს უწყობს გამლებული შეიარაღების ალაგმვას. მთავარია კონკრეტული მოქმედება. „შემოთავაზებული ხელშეკრულება სწორედ ასეთი კონკრეტული ნაბიჯია.

ეს მით უმეტეს მნიშვნელოვანია, აღნიშნა მან, რომ ახლა არ არსებობს ყოვლისმომცველი საერთაშორისო დოკუმენტები. რომლებიც კანონგარეშე გამოაცხადებენ იარაღით კოსმოსის „გაჭუჭყიანებას“. სამწუხაროდ, საომარი მზადების გზა კოსმოსში ჯერ კიდევ ღიაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩეხოსლოვაკიის მუდმივი წარმომადგენლის ი. გულინსკის აზრით, საბჭოთა ინიციატივის რეალიზაცია გამალებული შეიარაღების ერთ-ერთი არხის საიმედოდ დაგმანვის შესაძლებლობას იძლევა.

...ედგომარეობა პოლონეთში

...ერშავა. პოლონეთის გაერთი...ული მუშათა პარტიის ცენტ...ური კომიტეტის პოლიტბიუ... წევრმა, პოლონეთის გაერ...ებული მუშათა პარტიის ...ალური კომიტეტის მდივა... მ. მილევსკიმ გაზეთ „ტრი... ...ლუდუსათვის“ მიცემულ ...ერვიუში განაცხადა: დღეს ...რი ვართ იმით, რომ პარტია ...ემდეგრულად ძლევს განვ... ...ა პერიოდის შეცდომებს, ...ა ეს პროცესი ჯერ კიდევ ...ამავრცელდა.

...ვე ყოლობის დროს ხორცი... ...ებოდა სხვადასხვა აქცია, ...ებსაც მოწინააღმდეგეთა ...ეძლო შეეფერხებინა ...მუშაობა, გავლენა მოეხდი... ...ის შედეგებზე, ცენტრალური ...ძლვანელი ორგანოების და... ...ილებათა შინაარსსა და შემა... ...ლობაზე. გამოჩნდა ახალი ...ენებები, მათ შორის ლოზუ... ...შიშლის შესახებ, რომელიც ...ძდგილში არ არის პოლონე...

...ციალიზმის მოწინააღმდეგენი ...ბგიური ლოზუნგებით ცდი... ...ენ სამე კონფრონტაციამდე ...ვანონ. განსაკუთრებით საში... ...ს, რომ ისინი ეგრეთ წოდე... ...ქუნის მარშებში ითრევენ ...ბსა და ბავშვებს. დემონს... ...ტებმა არ იცოდნენ, რომ ასრულებენ დასავლეთის დივერსიული ცენტრების მიერ შემუშავებული სცენარებით დაკისრებულ როლს. ამ სცენარების მიზანია ცხოვრების დესტაბილიზაცია პოლონეთში, ხელისუფლების მუდმივი შესუსტება, გახარწყა, შემდეგ კი მისი ხელში ჩაგდება. ისინი აგრეთვე მიზნად ისახავენ იმას, რომ გამოიწვიონ უნდობლობა პოლონეთისადმი ჩვენს მოკავშირეებში და ჩამოაცილონ მათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს „გაფფრებული იერიშები პარტიაზე, სახელმწიფოსა და მის ორგანოებზე „სოლიდარობის“ სხვადასხვა რეგიონალურ გამომცემლობაში, ფურცლებში, რომლებიც გამოირჩევა ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალისტური, ანტისაბჭოური შინაარსით.

ამავე მიზნით სცადეს მოეწყოთ ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავური მარში“, რომელიც თითქოს ოფიციალურად იმ პოლიტიკურ პატიმართა დასაცავად უნდა მოეწყოს, რომლებიც პოლონეთში არ არიან. სინამდვილეში ეს მარში უნდა გამართულიყო სოციალისტური „პოლონეთისადმი მტრული „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ დაჯგუფების დასაცავად, რომლის ხელმძღვანელები ახლა დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე წარდგენენ.

ამგვარ ღონისძიებათა ორგანიზატორებმა, თქვა შემდეგ მ. მილევსკიმ, კარგად იციან, რომ სუსტდება ძალაუფლება, რომელიც ასეთ აქციებს წინააღმდეგობას არ უწევს.

საპროტესტო გაფიცვები და მარშები, რომლებიც იმართება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობის შემდეგ, როცა პარტიამ ის პოლონელ ხალხს მოუწოდა შრომისათვის, რათა კრიზისიდან გამოიყვანონ ქვეყანა, მოწმობს, რომ საქმე გვაქვს კონტრრევოლუციურ მოქმედებასთან.

მთელი თანამიმდევრობით ვეცდებით კანონის დაცვას. ის, ვინც ცდილობს დაარღვიოს საზოგადოებრივი სიმშვიდე, თავს დაესახას ფუობილებასა და სახალხო ხელისუფლებას, ვერავითარი ნიღაბი ვერ უშველის.

პარტიასა და მთავრობას არ სურთ დამალონ არც თავიანთი განზრახვა, არც თავიანთი მოქმედება. ჩვენ მზად ვართ საზოგადოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლისათვის. ჩვენი მოქმედების თანამიმდევრულობა აუცილებელია იმისათვის, რომ პოლონეთში წესრიგი დავამყაროთ.

პრესა ადასტურებს

უთანხმოება პრეზიდენტის ბანაკში

ვაშინგტონი. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის უახლოეს თანამშრომელთა ბანაკში დიდი აყალ-მაყალია. კერძოდ, გაზეთი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მწვავდება მეტოქეობა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ა. ჰეიგსა და თავდაცვის მინისტრს კ. უაინბერგერს შორის.

ეს ორი კაცი ნამდვილად ებრძვის ერთმანეთს ყოველი საკითხის გამო, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაწყვეტს პრეზიდენტი საერთაშორისო პრობლემებს, თუ თავისი კაბინეტის ორ ძირითად მრჩეველს შორის მორჩენებთს ჰარმონიას მაინც არ მიაღწევს.

თავდაცვის მინისტრი პენტაგონში იურისტისა და ბიზნესმენის გამოცდილებით მივიდა. იგი ნაკლებად ეროვნეა საერთაშორისო საქმეებში. ფართოდ არის გავრცელებული აზრი, წერს გაზეთი, რომ უაინბერგერს სახელმწიფო მდივნობა სურს.

ჰეიგი კი, როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, თავს მეტად შეპარულად გრძნობს საზოგადოების წინაშე, წამდაუწუმ ხმაურობს სამხედრო ყარგონს. მისი სტრატეგიული იდეები არ ვამოირჩევა იმთვალ, ვინც წარმართავდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას უკანასკნელი წლების მანძილზე. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად გახდომის იდეა მას ღრმად ჩაებეჭდა ტვინში.

მართლაც რომ უსაზღვროა ჰეიგისა და უაინბერგერის „ომის“ ბიუროკრატიული საშუალებები, წერს გაზეთი, ოღონდ სახლი მონაწილეობს ამ ოროპბრძოლაში ზოგჯერ როგორც მთავარი ჩხუბისთავი.

საკლესიასა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საბჭოთაშორისი დღიურის ზურგზე

20 აგვისტო

● ირანი

გახლარის პრესკონფერენცია

თეირანი. აქ გაიმართა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის მ. ჯ. ბაზონარის პრესკონფერენცია.

შეეხო რა საშინაო ვითარებას, მან ტეროროსტული აქტების, პროვოკაციული გამოხდომებისა და საბოტაჟისათვის მთელი პასუხისმგებლობა ირანში მოკალთებულ ამერიკის იმპერიალიზმის აგენტებს დააკისრა, რომლებიც ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღებას ლამობენ.

ირან-ერაყის კონფლიქტის გამო ბაზონარმა განაცხადა, ირანი იბრძოლებსო ერაყის ჯარებისაგან „ირანის ტერიტორიის განთავისუფლებამდე“.

● თურქეთი

გასამართლება დაიწყო

ანკარა. დაიწყო თურქ ნეოფაშისტთა მეთაურის, ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის ლიდერის თურქეშისა და ამ პარტიის 587 აქტივისტის სასამართლო პროცესი. მათ ბრალად ედებათ სამოქალაქო ომის გამოსაწვევად წამქეზებლური მოქმედება და სახელმწიფო გადატრიალების მომზადება, ქვეყანაში ტეროროსა და ანარქიის შექმნა. ბოლო წლებში ნეოფაშისტების მსხვერპლი გახდა ასობით თურქი მოქალაქე.

ბრალდება მოითხოვს თურქეთისა და 219 აქტივისტის სიკვდილით დასჯას.

...კოეტი აქედანვე დამემგზავრა. უკეთეს მეგზურს კერ კინატრებდი. პირენეის იმ ქვეყნისაკენ მქონდა გეზი, საიდანაც ბედისა და სიახლის არაერთი მოუთოკავი მაძიებელი გაჭრილა იმიერ სამყაროში შეუცნობელის შეცნობისა და შეუძლებელის შეძლების ჟინით.

ჩემი პოეტიც ერთი იმათთაგანია! იგი ოთხასი წლისაა. შარშან მთელმა მსოფლიომ იზეიმა აღორძინების ხანის ამ უშესანიშნავესი პოეტის იუბილეე, რითაც კიდევ უფრო გამაყუჩულან ისედაც ამაყი და ლაღი მისი თანამემამულენი, რომელთაც აღიარეს ლუის დე კამოენსი (მათებურად კამოშ) ლიტერატურული პორტუგალიური ენის მამამთავრად და დამამკვიდრებლად.

„ლუზიადებია“ პორტუგალიელი ხალხის განათლების სათავე, — ამოტვიფრულია ქალაქ კოიმბრის „ზეიდასწლიანი უნივერსიტეტის მეფე ეუანისეულ ბიბლიოთეკა-მუზეუმის კარს ზემოთ, — მილიონობით ადამიანს მისცა „მან ცოდნის იარაღი...

კოიმბრის უნივერსიტეტის სახელოვან აღზრდილთა სიაში გულისხმობენ კამოენსსაც, დიდ ჰუმანისტ შემოქმედს, რომელმაც აღორძინების ხანის ლიტერატურა გაამდიდრა თავისი ღრმად ფილოსოფიური ლირიკით, ეპოსითა და დრამატურგიით. ზოგჯერ იგი ორენოვან პოეტად წარმოგვიდგება, მაგრამ ეს ხდებოდა ეპიზოდურად, როცა ხალხურ კილოზე აგებულ რედონდილიებს ქმნიდა ხოლმე, ძირითადად კი მშობლიურ ენაზე მომღერალი მგოსანია, რომელსაც მეტად თავისებური, ემოციური, ფერსავსე სატრფიალო ლირიკის გამო „პოეზიის რუბენსიც“ კი შეარქვეს.

დღეს კამოენსი მრავალ ენაზე ლაპარაკობს, თუმცა ძირითადად ცნობილია იმ პოემით, სამშობლოდან გადახვეწილმა ინდოჩინეთში ყოფნისას რომ შექმნა და თავისი ხალხის სიყვარულით „ლუზიადები“ უწოდა (ლუზები პორტუგალიაში დასახლებული უძველესი ტომია). ამ პოემით მან, პოტმა-მოგზაურმა და მეომარმა, ლუზთა გმირულ შთამომავლობას, კერძოდ კი თავისი თანამემამულისა და შორეული ნათესავის ვასკო და გამას საარაკო ამოჩენებს აუგო ძეგლი, მისი მოგზაურობანი აღწერა და საკუთარი ჭირი და ლხინიც ჩაქსოვა. პოეტის ბიოგრაფიაში სიზამდვილეს ლეგენდა ენაცვლება. დაბადების თარიღით დაწყებული თვით საკვდილის თარიღიანად, ყველაფერი საორჭოფო და სათუოა, მაგრამ იგი არსებობდა, იტანჯებოდა, იბრძოდა, წერდა და ალტაცებაში მოიყვანა თავის პოემით ტორკვატო ტასო, სერვანტესი, ლოპე დე ვეგა!..

იგი არსებობდა, იტანჯებოდა, ქმნიდა და რადაა შემოქმედებასთან ქრონოლოგია, ანუ დრო, რომელიც კამოენსის ლირიკის ერთ-ერთი მთავარი გმირია ბედისწერასთან ერთად.

ბედისწერას რომ გადაურჩე, დროს სადღა გაურბიხარ, ერთს თუ გაექცევი, მეორეს ხომ ვეღარა... მას ვერც მეფე მოერევა, ვერც ფილოსოფოსი („დრონი მეფობენ და არა მეფენიო“ — ეს ჩვენებური ანდაზა რა ზედგამოჭრილია, რა სრულად გამოხატავს პოეტის აზრს!).

ყოველივე წარმავალია... ტრაგიკულად ეღერს პოეტის შემოქმედებაში წუთისოფლის თემა, მიუსაფრობის თემა, მას არად არ ეგულება სათავისო ადგილი მთელ ორ ნახევარსფეროზე, თვით წარსულშიც, მისი ბავშვობის მინდვრებზეც კი...

სინამდვილეს ლეგენდა ენაცვლება... ერთი ამბობს, რომ სამშობლოსთან პირველი განშორების მიზეზი მაღალი წრის ბანოვანისადმი ტრფიალი იყო, რის შედეგადაც მან ჯალამი იარაღზე გაცვალა და პორტუგალიის ღირსების დასაცავად მავრებთან ბრძოლაში მაროკოში თვალიც კი დაკარგა. იმავე ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ, სეუტაში დაკარგა მან უახლოესი მეგობარიც — დონ ანტონიო დე ნორონია. თანდათან ცხოვრებამ იგი შეაჩვია ჭირსა და ვაებას. განდევნა, დილეგში ყოფნა, სიღატაკე და უსამართლობა, სიკვდილის განაჩენიც კი არ დაჰკლებია! თუ ზოგჯერ ბედი დაიხსნდა, ახლა თურმე უარეს განსაცდელს უმზადებდა....

სატირული სტრიქონების გამო, რომლებიც მაროკოდან დაბრუნებულმა გამწარებულ გულზე დაწერა და რომლის ადრესატიც ძალაუფლების სათავეში იყო, კიდევ უფრო შორს, ინდოეთში მოუხდა გადახვეწა... კარგა ხანს მოათია ინდოეთსა და ჩინეთში პოეტმა, მონაწილეობაც მიუღია რამდენიმე საბრძოლო ექსპედიციაში აზიის ქვეყნებში. შუალედებში იგი საზღვაოსნო ექსპედიციებშიც მონაწილეობს, მოუსვენარი და ძნელი ცხოვრება აქვს. დგება სამშობლოში დაბრუნების ნანატრი წუთებიც... ეს ლეგენდა ყველაზე სევდიანია: ჩინეთიდან ჯერ ინდოეთში მიცურავდა საკუთარი შრომიდ მოპოვებული სიმდიდრით, საკუთარ ჭირ-ვარამში გამოტარებული „ლუზიადების“ ხელნაწერიც და ჩინელი სატრფოც თან მოჰყავდა, მაგრამ გემი დაღუპულა, მასთან სატრფოც, სტრიქონს გადაურჩა პოეტი და მისი ხელნაწერი...

უდროოდ დაღუპულ სატრფოს ნიმფა დინამენეს სახელით დაატირებს შემდეგ პოეტი და მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება ზღვის ტალღებში დამარხული ასულის ბედი. ეს კი, გადარჩენილ ძვირფას ხელნაწერს, სიცოცხლეშივე ეწერა გამოცემა, რომელმაც უკვდავების აზიარა კამოენსი.

მართალია, „ლუზიადები“ ქართულად არ თარგმნილა, მაგრამ თავისი პოეტური ღირსების გარდა ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო, რომ ოსმალთა და არაბთა წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლ ქრისტიან ერებს შორის პოეტს ქართველებიც მოუხსენებია და თავისიანებთან ერთად მოუწოდებს ყველა ევროპელს, მხარი აუბან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმორწმუნე ბერძნებს, თრაკიელებს, ქართველებსა და სომხებს. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად ამ დეტალისათვის უნგრელ ისტორიკოსს ლაიოშ ტარდის მიუქცევია ყურადღება, როგორც აღნიშნავს დ. პაიჭაძე წერილში „პორტუგალიელი პოეტი საქართველოს შესახებ“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ბუნებრივია, ასეთი წიაღსვლის შედეგად უფრო ახლობელი ხდება ქართველისათვის სახელი კამოენსისა, სულიერად უფრო აახლოებს და აკავშირებს მასთან და ცნობისწადილსაც ეღვივებს.



1. პოეტი— თანამგზავრი

...როცა პოეტის სამშობლოში ჩადიხარ, ცხადია, მასთან შესახვედრადაც ემზადებით, მისეული ადგილების ხილვის მოლოდინში ღელავთ. თვით ლისაბონია მისი მშობლიური ქალაქი. იქვე გარდაიცვალა სიღატაკეში.

იგი წევს თავის მაღალ, მარადიულ განსასვენებელზე და თითქოს ძილისპირულზე ლოცულობს. ასევე მავედრებლის პოზაშია გამოქანდაკებული ვასკო და გამა, რომლის სარკოფაგიც იქვეა. მაგრამ იერონიმეს დიდებულ ტაძარში სარკოფაგთა უმრავლესობა, მათ შორის ეს ორიც სიმბოლურია. XVI საუკუნეში პორტუგალიელებს ეს დიდებული ტაძარი — სავანე იმ გმირთა უკვდავსაყოფად აუგიათ, ვინც ბრძოლებით, აღმოჩენებითა თუ აღშენებით განამტკიცა, განადიდა და განავრცო სამშობლოს ძალა და სახელი და ვისაც ან ცოცხლად ეწერა დაბრუნება, ან მკვდრად...

პოეტიც ამ წამებულთა შორის არის... ლომები დადრეკილან მარმარილოს სარკოფაგქვეშ.

კამოენსის პოეზიის კლასიკური ხასიათი, ანტიკური და რენესანსული თემების გადამუშავება-გათავისების უნარი, მის სოხეტებში, ალეგიებში, ოქტავებსა, ეკლოგებსა თუ ფოლკლორის გავლენით შექმნილ რედონდილიებში მძაფრად, ხან უფაქიზესად გამოხატული სევდა, ტკივილები, სინანული თავისი ატლანტური შინაგანი ძალით, უჩვეულო და მომხიბლავი მეტაფორული სახეებით, დრამატიზმითა და, თუ გნებავთ, ტრაგიზმით, სინატიფით, მრავალფეროვნებით და ზოგჯერ სიმკაცრით ძალზე ენათესავება მის მშობლიურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, დამთავრებულსა თუ დაუმთავრებელს, თითქოს ქამთა სვლის გასაძლებად ქვათოკის ხლართებით შებოჭილთ და შემკულთ ფანტასტიკური ჩუქურთმა-სამკაულებით. მათშიც პოეტურად არის ჩაქსოვილი მთელი რომანტიკა და აღფრთოვანება, რაც ახლად აღმოჩენილი ქვეყნების ფლორისა და ფაუნის გაცდამ მიანიჭა პორტუგალიელებს. ამდენ ქიმერებს, მარჯნის ბორჩხებს, ფინიკის მტევნებსა თუ ანანასებს, აქურულ არაბესკებსა და ჰალმეტებს უცხო სინაზეზე და ინტიმი შეაქვს მათს მონუმენტურობაში, დიდებულ ფასადებსა თუ შიდა ეზოების თაღედებში. არქიტექტურული იმპრესიონიზმის ამ სახეობას, რომელმაც მოიცვა გოთურ-მავრიტანული, ინდური, რენესანსული და ნაწილობრივ ესპანური ხუროთმოძღვრული მოტივები, მანუელინოს სტილის სახელწოდებით არის ცნობილი მანუელ ბედნიერის ხანაში დამკვიდრებული მშენებლობის ხასიათისდა მიხედვით. ეს იყო გამდიდრებული, გალაღებული ქვეყნის, კერძოდ, ლისაბონის, ევროპის ამ უდიდესი ქალაქის ხასიათის გამოხატულებაც. რომელიც სილამაზითა და დიდებულებით ყველა უცხოელს აოცებდა. მაგრამ თუკი ბედნიერება სტუმარ-მასპინძელ ქალაქებისა და მეფეთა ხელეწიფებოდა, პოეტისაგან შორია ეგ....

არაბობა ვცანი ყოველთა,
ჩაჭრა, დაიწვა იმედის შუქი.
თუ სათნოება მოგონებაა,
ავმა დატოვა ლაქები მუქი...

...ესეც ყარიბი პოეტის სიმღერაა...

—თქვენ ხედავთ კამოენსს, მისი დროის ყველა პოეტთა მეფეს!— ეუბნებოდა მოხუცი გიდი ბავშვებს, რომლებმაც ის-ის იყო აფრიკის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ სებასტიან მეფის სპილოებზე შემოდგმული ცარიელი სარკოფაგი ნახეს (ერთი სპილო ინდოეთს გამოხატავს, მეორე — აფრიკას!)

...ცარიელი სარკოფაგები, თოკისებური გრეხილებით დაქსელილი აფრა-თაღები და გვირდითი ნავები... ამ გრეხილებსაც ხომ სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ: ქვაშიც ჩაუგრეხია ბამაც მეზღვაურ ხალხს ნაოსნობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი.

...თქვენ ხედავთ კამოენსს — პოეტს, ვინც მეფური ძღვენი მიართვა ახლადგამეფებულ სებასტიანს, თვით კი სიღატაკეში აღესრულა...

კამოენსის ბედით არაერთი შემოქმედი აღელვებულა, არაერთი ნაწარმოები უძღვნიათ მისთვის დაწყებული ტორკვატო ტასოდან... საქართველოშიც აღმოაჩნდა გულშემატკივარი:

თქვენში არ იყო, კამოენსი
მოკვდა მშიერი...

თქვენ არ სდევნიდით დიდსა დანტეს, იყავით მტერი? ამას ამბობს პოეტ ბეგლარის პირით გიორგი ერისთავი თავის კომედიაში „დავა“.

— თქვენ ხედავთ კამოენსს — მიმყავა ეს ხმა თვით ვრცელ ტეტომდე, რომლის პირას წმინდა ვინსენტის სახელობის კოშკია და ბელემის კოშკსაც ეძახიან. იგი შუა მდინარეში აუგიათ, მაგრამ ყამთასვლას „გამოურიყავს“. აქე-





„თავისუფალი სამყაროს“ სურათები

XX საუკუნის მონათვაჭრეები

...ბონი. ადამიანებით არალეგალურმა ვაჭრობამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ თანამედროვობა და ბუნდესტაგი აპირებენ სპეციალურად განიხილონ ეს საკითხი. ამას იუწყება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ...ბოდგილი გ.-ი. ვიშნევსკი ...ტატიაში „შრომის შავი ბაზარი“, რომელიც გაზეთ „ალგემაინ ...ციტუნგის“ ფურცლებზე ...ამქვეყნდა.

გერმანელთა კომპარტიას, პროკავშირებს, დემოკრატიულ საზოგადოებრიობას მრავალჯერ მიუქცევიათ ყურადღება „თავისუფალი სამაზრო მეურნეობის“ ფეროში მოქმედი იმ ასობით საშუამავლო ფირმების კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის, რომლებიც „ცოცხალი საქონლის“ ვაჭრობაზე არიან დასპეციალებული. დემოკრატიული ფრესა მათ სამართლიანად უწოდებს „XX საუკუნის მონათვაჭრებს“. ამ ფირმების აგენტები ...ძარნიან შრომის ბირჟაზე, ...ასრულებენ დასავლეთის დივერსიული ცენტრების მიერ შემუშავებული სცენარებით დაკისრებულ როლს. ამ სცენარების მიზანია ცხოვრების დესტაბილიზაცია პოლონეთში, ხელისუფლების მუდმივი შესუსტება, გახარწყა, შემდეგ კი მისი ხელში ჩაგდება. ისინი აგრეთვე მიზნად ისახავენ იმას, რომ გამოიწვიონ უნდობლობა პოლონეთისადმი ჩვენს მოკავშირეებში და ჩამოაცილონ მათ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს „გაფფრებული იერიშები პარტიაზე, სახელმწიფოსა და მის ორგანოებზე „სოლიდარობის“ სხვადასხვა რეგიონალურ გამომცემლობაში, ფურცლებში, რომლებიც გამოირჩევა ანტისახელმწიფოებრივი, ანტისოციალისტური, ანტისაბჭოური შინაარსით.

ამავე მიზნით სცადეს მოეწყოთ ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავური მარში“, რომელიც თითქოს ოფიციალურად იმ პოლიტიკურ პატიმართა დასაცავად უნდა მოეწყოს, რომლებიც პოლონეთში არ არიან. სინამდვილეში ეს მარში უნდა გამართულიყო სოციალისტური „პოლონეთისადმი მტრული „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ დაჯგუფების დასაცავად, რომლის ხელმძღვანელები ახლა დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე წარდგენენ.

ამგვარ ღონისძიებათა ორგანიზატორებმა, თქვა შემდეგ მ. მილევსკიმ, კარგად იციან, რომ სუსტდება ძალაუფლება, რომელიც ასეთ აქციებს წინააღმდეგობას არ უწევს.

საპროტესტო გაფიცვები და მარშები, რომლებიც იმართება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობის შემდეგ, როცა პარტიამ ის პოლონელ ხალხს მოუწოდა შრომისათვის, რათა კრიზისიდან გამოიყვანონ ქვეყანა, მოწმობს, რომ საქმე გვაქვს კონტრრევოლუციურ მოქმედებასთან.

მთელი თანამიმდევრობით ვეცდებით კანონის დაცვას. ის, ვინც ცდილობს დაარღვიოს საზოგადოებრივი სიმშვიდე, თავს დაესახას ფუობილებასა და სახალხო ხელისუფლებას, ვერავითარი ნიღაბი ვერ უშველის.

პარტიასა და მთავრობას არ სურთ დამალონ არც თავიანთი განზრახვა, არც თავიანთი მოქმედება. ჩვენ მზად ვართ საზოგადოებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლისათვის. ჩვენი მოქმედების თანამიმდევრულობა აუცილებელია იმისათვის, რომ პოლონეთში წესრიგი დავამყაროთ.

ფოტოობიექტივი ამხილებს

„ბატონო პრეზიდენტო, შეახრულეთ დანაპირები!“, „გამოკვებეთ ადამიანები და არა პენტაგონი!“ — ასეთი ლოზუნგებით გამართა ვაშინგტონში ამერიკელ პენსიონერთა დემონსტრაციამ (სურათზე). მანიფესტაციის ათი ათასამდე მონაწილემ გადაჭრით დაგმო თეთრი სახლის გადაწყვეტილება შეამციროს სოციალისტური ახიგნებანი, ხოლო გამონთავისუფლებული თანხები ამერიკის სამხედრო უწყების ბიუჯეტის ზრდას მოახმაროს.

ადნ-საქდესის ფოტო.

ზრომა და კაპიტალი

გაფიცვები...

ლონდონი. ოთხი თვეა გრძელდება მანჩესტერში კომპანია „ლოურენს სკოტის“ მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშათა გაფიცვა. მიმდინარე წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც ფირმის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა საწარმოს დახურვა, ყველა მუშამ ქარხნის შენობა დაიკავა და, მიუხედავად სახამართლო აღმასრულებლების ყოველგვარი ცდისა, არ სტოვებენ მას. მშრომელთა გამოხვლას მხარი დაუჭირა 47-მა პარლამენტარმა ლეიბორისტმა. „ლოურენს სკოტის“ მუშები სამართლიანად იბრძვიან შრომის უფლებისათვის“, განაცხადა ერთ-ერთმა მათგანმა — ჩ. მორისმა.

უმუშევრობა

ბრიუსელი. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობაჟ, ბელგიაში რეკორდულ დონეს — 14%-ს ათას კაცს მივაღწია, ანუ ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლეობის 9,6 პროცენტს. სულ რაღაც ერთი წლის წინათ ეს მაჩვენებელი 7,7 პროცენტს შეადგენდა.

ამრიგად, „საერთო ბაზრის“ ქვეყნებს შორის ბელგია უმუშევრობის დონის მიხედვით მეორე ადგილზეა ინგლისის შემდეგ, სადაც თითქმის 3 მილიონი უმუშევარია, რაც ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 11 პროცენტს შეადგენს.

ნატოს ადგილი ამერიკის ახალ სტრატეგიაში

სამხედრო მიმომხილველის შენიშვნები

...ბგრი დასავლელი მეთვალ...ურე იმ აზრს ადგას, რომ თეთ...ბლის ახლანდელ ადმინის...ციას ხელისუფლების სათავე...ოსავლიდან ჯერაც ვერ გაურ...ია რეგიანად თავისი საგარეო...ტიკური კურსი. ამასთანავე ...ია ნათელია, რომ სამხედ...ოლიტიკის დარგში ოფიციი...ი ვაშინგტონი ქვეყანას სთა...ს ახალი სტრატეგიის შემუ...ულ კონცეფციას, რომელსაც ...ატოდ აცხადებს, არამედ ამ...ებს კიდეც. ეს კი მხოლოდ ...რამეს შეიძლება ნიშნავდეს: ...ტონის უმწიფარ პოლიტიკას ...ად უსადაგებენ სამხედრო ...ტეგიას და იგი ამ უკანასკნ...მსახური, გამგრძელებელი ...

...ლიტიკა განსაზღვრავს მი... და გვიჩვენებს მისი მიღწე...ებს. ამჯერად ამერიკის შე...ული შტატების პოლიტიკის ...ა მიზნად გამოცხადებულია ...ეო ბატონობა, ხოლო სა...ებად — სამხედრო უპირა...ება და ძალადობა.

...ფენადაც შეერთებულ შტა... თავის სამხედრო კავშირე... ...ელში ჰყავს შებმული რამ... სუპერეხული სახელმწი... ...ინტერესო არ იქნება გადა... ...ოთ, თუ რა გავლენას ახდენს ...ოკეანისგაღმელი ბოსის სა... სტრატეგიის ცვლილება... ...ბი შეხედვით, მოკავშირე... ...ერთებული შტატების ...ერთობაში არსებითი ცვლი... ...ი არ მომხდარა. ამას ადას...ტურებს ნატოს ხელმძღვანელი ორგანოების რომისა და ბრიუსელის სესიები, რომლებზეც ვაშინგტონის ზეგავლენით დაადასტურეს „ატლანტიკური სოლიდარობისადმი“ ერთგულება და იმის გაზზრახვა, რომ მიჰყვნენ მილიტარისტულ კურსს, რომელიც მათ თავს მოაზვია უფროსმა პარტნიორმა.

ამავე დროს პენტაგონის მიერ შემუშავებული სტრატეგია მარილაც შეიცავს ახლებურ მიდგომას, რომელიც ხაფანგად იქცევა თეთრი სახლის ვასალებისათვის. შეერთებულ შტატებს, თვისებრივად ახალი იარაღის მეშვეობით, იმისი უნარი უნდა ჰქონდეს, რომ ერთდროულად აწარმოოს იმდენი ომი, რამდენიც „ამერიკის ინტერესების დასაცავად“ დასჭირდება, და იქ, სადაც საჭირო იქნება. ნავარაუდევია ომები აწარმოონ შეზღუდული, ადგილისა და ძალების თვალსაზრისით, და შეუზღუდავი, ხანმოკლე და გაჭიანურებული, ბირთვული და ჩვეულებრივი საშუალებებით. რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების სფეროდ ფაქტობრივად ლამის მთელი დედამიწა გამოაცხადეს, ვაშინგტონის სტრატეგია გლობალურ ხასიათს იძენს. მისი განხორციელებისათვის კი მზად უნდა იყოს ბრძოლის მთელი შესაძლო საშუალებანი, უწინარეს ყოვლისა ახალი სტრატეგიული და „ტაქტიკური“ ბირთვული საშუალებანი, მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, დიდი სახმელეთო არმია, მრავალრიცხოვანი ავიაცია და მათი ავანგარდი —„სწრაფი მოქმედების“ საინტერვენციო ძალები. ამასთან პრიორიტეტი ეძლევა პირველი დარტყმის საშუალებებს.

საჭიროა აგრეთვე საკმაო რაოდენობით ნაირ-ნაირი ბაზები: სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ან კომბინირებული. ამ ბაზებში დროულად უნდა მოუყარონ თავი ჯარების მნიშვნელოვან კონტინგენტს, იარაღისა და საჭურვლის მარაგს. ასეთი ბაზები მომზადებული აგრესიის საყრდენი პუნქტები და პლაცდარმი იქნება, ხოლო მათი რიცხვის გაზრდამ ამერიკის შეერთებული შტატების ძალების სტრატეგიულ გაშლას უპირატესობანი უნდა შეუქმნას და ამასთანავე დაამკვიდროს ამერიკის სამხედრო ყოფნა იმ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რაიონებში, რომლებიც ვაშინგტონის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს აკლია.

**ვაშინგტონელ სტრატეგებს, რომლებიც ყველა მიმართულებით ზრდიან სამხედრო ძლიერებას, თავდაჯერებულად მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი აქვთ, რადგან, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ სჯერათ, რომ მოკავშირეები უყოყმანოდ დაუჭერენ მხარს. აგრესიისათვის მომზადებულ ძალებს კი იმ მიზანსაც უსახავენ, რომ ლაგამამ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲜᲘᲢᲐ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ. კალიფორნიაში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდები დაამყარეს ამერიკელმა რენალდო ნეხემიამ და მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ინგლისელმა სებასტიან კოემ. პირველმა გაიმარჯვა თარჯებით 110 მეტრზე რბენაში — 12,93 წამი, ხოლო მეორემ — ერთ მილზე რბენაში — 3 წუთი და 48,53 წამი. ამავე ასპარეზობაში ნაჩეკენი იქნა კიდევ რამდენიმე საკმაოდ მაღალი შედეგი: სიგრძეზე ხტომაში ამერიკელმა კარლ ლუისმა გაიმარჯვა შედეგით — 852 სმ., სიმაღლეზე ხტომაში — ასევე ამერიკელმა მილტონ ჰუდმა (227 სმ), ჭოკით ხტომაში — ფრანგმა ტერი �ინეერნმა (571 სმ), ხოლო ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში რუმინელმა დოინა მელინტემ — 1.59, 50.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲝᲠᲗᲘᲡ. ფილიპინების ტურნეს ᲬᲐᲙᲐᲜᲐᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ მატჩი საბჭოთა ჰაუკ სპორტსმენთა ნაკრებმა გამართა მანილაში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ—71:71 (შეხვედრა დამატებითი დროის გარეშე მიმდინარეობდა). ადრე ჩატარებული ხუთი მატჩიდან სტუმრებმა მოიგეს სამი, ხოლო ორში დამარცხდნენ.

ᲕᲔᲚᲝᲡᲠᲝᲠᲢᲘ. დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა სლოვაკიის საიუბილეო, 25-ე ველორბოლაში. გაიმარჯვა კუბიბიშეველმა ანდრეი ვედერნიკოვმა, ხოლო მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს იური ბარინოვმა (გორკი) და სერგეი პრიბილმა (ალმა-ათა). საბჭოთა ნაკრები გუნდურ ჩათვლაშიც უძლიერესი აღმოჩნდა, ხოლო ველორბოლის ყველაზე აქტიური მონაწილის პრიზი დაისაკუთრა ვედერნიკოვმა (50 ქულა).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ავსტრიის ქალაქ გრაცში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. თავის პირველ მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა გამართეს მასპინძლებთან. ანგარიშია 2:1 ჩვენი მოჭადრაკეების სასარგებლოდ. გამარჯვება მოიპოვეს 18 წლის ბაქოელმა დიდოსტატებმა გარი კასპაროვმა და მოსკოველმა საერთაშორისო ოსტატმა სერგეი დოლმატოვმა. მოსკოველმა დიდოსტატმა არტურ იუსუპოვმა თავისი პირველი პარტია გადადო, ხოლო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კრასნოიარსკელი დიდოსტატი ლევ ფსახისი დამარცხდა.

• •

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲗ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ მიმდინარე მეგობრული არმიების სპარტაკიადაში დიდი ალმავლობით გამოვიდნენ უნგრელი სპორტსმენები თავიანთი ეროვნული დღესასწაულის — კონსტიტუციის დღის წინადღეს. ანდრაშ დოლეკალმა გაიმარჯვა სროლაში სამიზნეზე „გაქცეული ტახი", ხოლო მოცურავეთა შეჯიბრებში ზოლტან ვერასტომ მიიღო მეორე ოქროს მედალი, ამჯერად 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში. სხვათა შორის, „ეჩკემეტის აუზში გამართულ მოცურავეთა ასპარეზობაში სპარტაკიადის ორგზის ლაურეატები გახდნენ აგრეთვე იური ლოგვინი (სსრ კავშირი) და ლეშეკ გორსკი (პოლონეთი). კვლავ საინტერესოდ მიმდინარეობს მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც კიდევ ოთხი ოქროს მედალი მოიხვეჭეს საბჭოთა არმიელებმა. ყველაზე შორს გადახტა სერგეი ლოგკო (803 სმ), ჭოკით ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ალექსანდრე ობე